

1674 წ. შა ვახტანგ მეფისა. სამხვერპლოს წინ მარჯვნივ ბესარიან არბეჯიანი ჩლოე—1735 წ.

ანტონ ქათაჯიკასი უფროსი. ამის ხელწარწერა ასე ბოლოვდება: გაწაშვენა ენა ქართველთა კეთილითა ქვერ-მეტყველობითა, და ღრამატიკა და წიგნი საფილოსოფოსონი და სამღრთოს-მეტყველონი რაოდენიმე თვით ჰქმნა, და რაოდენიმე კადმოილა სხვა-და-სხვა ენათაგან ქართველთა ენასა ზედა და ესე ვიარითა შრომითა დიდითა განმამეგნებელ ქართულისა ენისა და ეკლესიათა მიიცვალა, საგლოველად ღიდად საზოგადოებისად, წელსა 1788-სა 1788 თვესა მარტსა ა-სა.

მცხეთის სობოროში დასაფლავების უფლება ეკუთვნით ქართველ ეფეთა ჩამომავალთა—თავად გრუინსკებს და მუხრანსკებს, სობოროს არეთ გაღავანში ახნაურ გედევანიშვილებს.

ქალა ჰაზროვნებას ანგარიში უნდა გაუწიოთ.

ტურფაა და დიდებულ ბუნების ატრონი ჩვენი ქვეყანა! მრავალი იავეში ხლა ჰქონდათ უცხო ტომთ აფგლოთ იგი ხელში, მაგრამ მხნე და შეუპოვარმა ქართველობამ იგი

არავის დაანება... ვინც გულდასმით მოივლის ჩვენ ტურფა ქვეყანას, მის დიდებულ ველ-მიდვრებს, ვინც დაფიქრებით დაათვალიერებს მრავალ უხსოვართა დროთა ნაშთებს — ვინც გონების თვლით ჩაიხედავს საოცარ მატიაზეში ჩვენის ქვეყნისა და ხალხის — ის მიდღეში გადამეტებულად არ ჩასთვლის ამ ჩემ თქმას...

ყოველ გონიერ ადამიანს უნდა უყვარდეს თვისი ქვეყანა, — თვისი ხალხი. კიდის კიდემდე უნდა მოიაროს იგი. ზედ-მიწვევით შეიგნოს მისი წარსულიც და აწმყოც. განათლებულ ქვეყნის შვილინი სამშობლოს ყოველ ბიჯს მოივლიან და შეისწავლიან ხოლმე... ბუჩქთა და კორდებს არ გამოსტოვებენ. ჩვენში დიდებული საისტორიო ნაშთნი, ბუნების საოცარი სიმშვენიერენი რჩებიან არამცთუ შეუსწავლელნი, არამედ დაუთვალიერებელნი!.. *)

*) დიდებული ისტორიის ნაშთნი ლოქი არავის არ უნახავს და აუწერია. არც ლორის ნაშთნი არიან ამ ხანში ცნობილი ლიტერატურაში. საოცარი სკალატიკის ხვრელები კლდე-კარისა უხსოვარ დროიდან შესავალ შეჭვიტირებული არავის უნახავს და სხვა ამგვარნი... ავტ.

იმიტომ განათლებულ ქვეყნის ინტელიგენციამ, შეგნებულმა მუშამ ზედ-მიწვევით იცის თავის სამშობლო; წარსული და აწმყო მისი კულტურის... ჩვენში სამშობლო სოფლის სახელს სწორედ ვერ გამოსთქვამენ...

ამბობენ, რაც უფრო რომელიმე ერის ინტელიგენცია დაშორებულია მშობლიო აღზრდას, მის წარსულს და აწმყო კულტურის შეგნებას, იმდენი იგი უფრო ყმა უკიდურეს რადიკალურ მიმართულები... მათთვის შეუსაბამოა და გაუგებარი, გამოადგება, თუ დაუღუპავს მის სამშობლოს და ხალხს ეს მიმართულება...

აი ამ თქმას უნდა დაუფიქრდეს და ანგარიში გაუწიოს ჩვენმა ინტელიგენციამ გაურჩევლად დიდ-პატარაობის...

ვისაც ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი უნახავს, მას აუცილებლივ გულა შესწუხებია მის მკვიდრთა მიერ უფლებათა არ ქონებით, მათში კაცურ ღირსების შელახვით, სილატაკით, განადგურებით, შიმშილით, სიტიტვლით, ბანძურობით სახლსა და ეზოში, მოუწყობლობით სოფელში და

გარეთ... მაგრამ ყვილაზედ ძაან გულს დასთუთქვია მის უმეცრეობით, უსწავლელობით! ჩვენ ხალხს მზე ავ-კარგის შეგნებისა არ ამოსწვლია... მოძრაობამ შექმინა ცოტა რამ. მაგრამ თან ბევრი სიყალბენი დაანათლა. ამ სიყალბეთ დროა ანგარიში გაუწიოთ, თორემ იგი ანდერძს უგებს ბევრს ისეთს, რომლის დაკარგვა შემდეგში ბევრს გვაცემინებს თავსა და მკერდში...

მომაკვდინებელ ცოდვით მიანჩიათ, თუ შეგამჩნიეს გადამეტებული და გატაცებული სიყვარული სამშობლოსადმი, საქართველოსადმი. თუ გატაცებთ იხსენიებ შენს მხარეს, სოფელს, დიდებულ ბუნებას შენის ქვეყნის! თუ შენი ხალხისკენ მეტად იწევ ძაან ხეპრედ და ჩამორჩენილად გთვლიან, თუ ეტრფი შენს ენას, შენი ქვეყნის წარსულს, მის ისტორიას, ჩვეულებათ, წეს-წყობილებათ.

ნამდვილად-კი, ვინც გატაცებით არ ეტრფის ყველა ამას, იგი არაა სამშობლოს შვილი და ნამეტან საზოგადო მოღვაწე...

ხ. გულისაშვილი.

მ ც ხ ე თ ო ზ ა

დღეობა!.. იცით რა სასიამოვნოთ ესმის ეს ხმა ქართველის ყურსა? იცით რაოდენა ტკბილ მოსაგონებელს აღუძრავს მას გულში, რა ნეტარი ღიმი გაუკრთება ტუჩებზედ, რაოდენი თვალწარმტაცია სურათი გაუვლის გონებაში, რამდენი შთაბეჭდილებანი ათამაშდებიან მის ხსოვნაში? უანგარიშო, მკითხველო, უთვალავი და მასთან რა სათუთად ინახავს, უვლის ამ ხსოვნას, რომ დადარდიანებულმა ფარჩა-ფარჩა ამოაღოვას და ისიამოვნოს მოგონებით.

აგერ ახლოვდება დღეობის დღეც. ოჯახი ერთის კვირით ადრე შეუდგება ფაცი-ფუს: მამა ურმს თვლები კვერცხს იწყობს, რომ ლამაზად გააგროოს საყვარელი ოჯახი მშვენიერ ტყე-მინდორში; უმცროსმა ვაჟმა ტყიდგან წნელებიც ჩამორტანა და მამამ კობტად გადაგრისა საბარო ურემზედ ჩარდახი; ზედ გადასაფარებელი ვეგებრთელა ფარდაგიც გაბღერტეს და გაშვევს; სადღეობო ყოჩიც გამოჩნდა თავის დიდრონი რქებით; მის დანახავზედ შეუდგათ ბალღებს ქვილ-ხივილი, სიხარულით ცას ეწევიან. მალე თონეც აპრიალდე და გაიფანტა ჰაერში მშვენიერი დამათრობელი სურნელება ერთში მოხელილ ქადანახუქასა; გაიძახნენ სამშურად ორომხონჩაზედ გძელ-გძელი, შუშა-მუშა შოთები, ბარაქიანი რგვალი ვარე-

ჯულები (ასე ეძახიან დიდრონ რგვალ პურებს), შეთქმულ ზედაშესაც თავი მოჰხადეს და დატრიალდა მშვენიერი არმატი ახალ პირულისა; მოიღო საყვარლად ჩხრიალა ლალივით წითელმა ღვინომ სადღესასწაულოთ მომზადებულ კარგად მოზრდილს ტიკში. მაშ, ოჯახისშვილია, ცოტას ხომ ვერ წაიღებს, წარტო თავისთვის ხომ არ უნდა. სადაც ჩამობტება, გზაში, გამვლელ-გამომვლელს უნდა მისთავაზოს თუ არა?! ეკლესიის კარზედ მტერს და მოყვარეს ონდა დაუხვდეს თუ არა?!

ამ წმინდა ადგილს, დიდებულ დღეს უბრობა ხომ არ შეიძლება: მტერსაც უნდა შეურიგდეს, მოყვარე ხომ შერიგებული ჰყავს და შერიგებული. მაშ ქაშნიკი ბლომათ დასქირდება. ააქცივლეს ქრელ-ქრელი იორლა დედლები, ზვარაკი მყვირალა მამალიც ზედ მიაყოლეს; ძველი დედა ინდაური ცომით ნასუქი, რომ მის სუქან ნაფერდლებს მთიულიც-კი ვერ შეგედავს, დიასახლისის ხელებ ცომივით ფუის. არც ხილი დაჰვიწყებია: ნედლი ჩურჩხელა, მსხალი და ვაშლი, ყურძნის ჯაგნები ბლომად მომზადდა და ყველა ეს ფთხილიდ, სათუთად ჩალოადგება უზარ-მაზარ საცხენე ხურჯინებში, რომლებიც საყვარლად დაიტენებიან და გაახარებენ პატრონის გულს.

უყვარს გულუხეობა ქართველს, თუკი რამ მოეძებნება საწყალს, არაფერს დაზოგავს სტუმრისთვის, ცოლ-

შვილისთვის, მეტადრე ამ დღეს. ქამამ რა ქნა, ლოკამ რა ქნასო, ამბობს ქართველი.

ჩაიგო ურემში ლამაზად გძელი ბარაქიანი შინაური მატყლის დოშაკი. გვერდები არ ეტკინოს ოჯახს, რაკი სიამოვნებაა, სიამოვნება იყოს! ჩაგორდა შიგ გატენილი მუთაქები, დაბარგდა ურემი კობტად საფუძვლიანად, ერთი კვირა რომ იაროს, ბეწვი არ გამოსძვრება.

აგერ უფროსმა ვაჟმა სიმსუქნისაგან დარგვალბებული ხარ-კამბეჩიც მორეკა. ის ერთი კვირა სულ ნაყანობებში და კვლებში აძოვდა, სამცხეთოდ ასვენებდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, დღეობაში მიდის, დასანიშნად! ქალის პატრონები ჯერ ურემს და ხარ-კამბეჩს დაუთვალიერებენ და მხოლოდ შემდეგ მიაქცივენ მას ყურადღებას: კარგს ოჯახისშვილს საქონლის შენახვაზედ შეეტყობაო, იტყვიან ჩვენში. ყველაფერი მზათაა. მთვარის ამოსვლას ელიან და პირველ ღამესვე გაუღვებიან გზას.

უფროსებს თვალი არ მოუხუჭუნიათ, მზადებაში არიან, ჩაცმა-დახურვაში, გასათხოვარის მორთვაში, დასანიშნის მოკაზმაში. მარტო ყმაწვილები მილაგდნენ, მაგრამ რა დაძინებთ: წამდაუწუმ საბნებიდგან თავებს ჰყოფენ, თითქოს ვინიანთ, არ გაგვეპარნენო.

აგერ მინახებულმა ბადრმა მთვარემაც ამოაშუქა საყვარლად და მო-

ჭვინა მკრთალა სინათლე არე-მარეს ურემში საქონლას შებმა დაიწყეს. დედამ ყმაწვილები წამოშალა. და ჩაცმა დაუწყო. კარგადა გრილა; ღამის სიომ ააკანკალა საბნებიდგან ახლად გამოძმვრალი ნათბილობელი ყმაწვილები; მაგრამ სიცივე იმათ გუნებას რას წაუხდენს!

ყოჩი ურემს უკან გამოაბეს, ქალები და ყმაწვილები ურემში ჩალოადგნენ, დასანიშნი ვაჟი ურემისთავს ვეფხვივით შეახტა, მამამ იაფინჯი წამოისხა; გატყლაშუნდა ჰაერში შოლტი, გაისმა მაგარი ლაწუნი იფნის სახრისა, ეს გორგალას მოჰხვდა, უხდებთ თავშივე შეხურება, და დაიძრა ურემი. გადიწერეს ყველამ პირჯვარი, ახსენეს ღმერთი და გაუღვნენ გზას.

მალე შეიყარნენ დანიშნულ ალოაგს ყველა ამ სოფლის დღეობაში წამსვლელი ურემები და დამწკრივებულნი წერობივით გაუღვა ქარვანი დინჯათ გზას.

გაისმა ღამის მშვიდ ჰაერში ტკბილი მეურმის დილინი. ახალგაზდა მეურმეები ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმღერ ბში, ვით მაისში მამალი ბუღბუღები: ბევრს მათგანს ახლოს ეგულება თავის იღბალი. მოდი და ნუ მოიგებ იმის გულს ტკბილის ურმულით, ნუ აუგზნებ ახალგაზდა გულში სიყვარულის ცეცხლს, ნუ დაუმორჩილებ მთელს მის არსებას შენს დილინს!

მოხუცებულები ურემს ჩამორჩ-



საქართველო დაკავშირების უნივერსალი არჩევნები

სახელმწიფო სათათბიროს დებუ-
ტაციების არჩევნებზე კადეტებმა გაი-
მარჯვეს. აირჩიეს: მოსკოვში შჩე-
პკინი, ოდესსაში ბროდსკი, სახელ-
მწიფო საბჭოს წევრის ამომრჩეველე-
ბად პეტერბურგის უნივერსიტეტმა
ამოირჩია პროფესორები ბორგმანი,
მაქსიმ კოვალევსკი და ოზეროვი.

პეტერბურგში.

რადგანაც ამბოლო დროს თავრიზში
მშვიდობიანობა დამყარდა, ამიტომ
რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა
თავრიზიდან რუსის ჯარის ნაწილი
რუსეთში დააბრუნოს, მეორე ნა-
წილს რუსეთში დააბრუნებენ მაშინ
როდესაც რუსეთის მთავრობა დარ-
წმუნდება, რომ თავრიზში ნამდვი-
ლი წეს-დგარა და მშვიდობიანობა
ჩამოვარდა.

სტამბოლი.

სარწმუნო წყაროებთან იტყობინე-
ბიან; ალბანელების კომიტეტები
შეუფრთხილნენ ბოლგარელების კო-
მიტეტებს. ბოლგარელები და ალ-
ბანელები ერთად იმოქმედებენ ავ-
ტონომიის მოსაპოვებლად.

ნენ და ერთად მიმუსაფოებენ; იგო-
ნებენ ყველა საყურადღებო წამებს
კვლავინდელ მოგზაურობიდან დღე-
ვანდელ დღეს. ისინი ხომ იშვიათად
ულალატებენ ამ დღესწაულს.

ყმაწვილები მალე ჩამოხტნენ და
მხიარულად მიუთამაშობენ ურმებს
გვერდით; შეჭხარაინ თავ-თავიანთ
ხარ-კამბეჩს, ყველა თავის გორგალა
კამბეჩს და შირმა ხარის ქებაშია,
თუ გორგალამ მეზობლის კამბეჩი
სად დაამუხლითავე, ასაწევში კატა-
სავით როგორ ათრია და სხვა. ის-
მის ამ კვლავ მიყრუებულ გზაში
დღეს ყრიაბული, სიცილი-ხარხარი,
სიმღერა, სტვენა, შოლტის ტყლა-
შუნი, სახრის ზუზუნი, მეურმეთა
კვილი, ერთმანეთთან გადაძახილი,
მარილიანი ძალდაუტანებელი ოხუნ-
ჯობა, ახალგაზდა ქალების წკრიალა
კისკისი და ადვილი მისახვედრია,
შკითხველო, თუ ყველას გული რად
უძგერს ასე სიხარულით, აღტაცე-
ბით.

ყველას დღიური ვარამი გადაუ-
ვიწყნია, შინ დაურჩენია, სრულად
მიუცია თავი დღესასწაულის შთა-
ბეჭდილებებისათვის, მოუშართავ გუ-
ლი უზომო სამხიარულოდ, აგერ
ირავრავა კიდევ, ცივმა დილის
ნიავემა საამურად დაჰქროლა მთელი
თავის სინაზით. შემოდგომის კე-
შნის ამშღელი მინდვრის ნაზი სი-
შვანე, აღმასებით დაცვარულ-მო-
ვაზმული, გულს რაღაც მოსაწყენის
წარსულით აღელვებს, ამწუხარებს,

ხოლმია.

პეტერბურგი. დღე და ღამეში ავად
გახდა 37, გარდაიცვალა 30, ავად
არის 346 კაცი.

ასტრახანი. უკანასკნელ კვირის
განმავლობაში ავად გახდა 5, გარ-
დაიცვალა 2 კაცი.

გრადნო. ავად გახდა 1, გარდა-
იცვალა 1 კაცი.

კიევი. უკანასკნელ კვირის განმა-
ვლობაში ავად გახდა 24, გარდაი-
ცვალა 17 კაცი.

ჩენიგოფი. სოფელ ნიკოლს-კაია-
ში ავად გახდა 2, გარდაიცვალა
1 კაცი.

ახალი ამბავი

ზახალხო სეირნობა მცხეთა-
ში. პირველ ოქტომბერს, სვეტო-
ცხოველობა დღეს, მცხეთაში გაიმარ-
თება საინტერესო სახალხო სეირნობა
აღვილობრივ წმ. ნინოს მონასტრის
ქალთა სკოლის სასარგებლოდ. შეი-
ძლება ბევრმა არც-კი იცის, რომ ამ
მონასტერში არსებობს ქალების სკო-
ლა პროკიმნაზიის კურსით და პან-
სიონით. ძალიან დიდი ხანია რაც
ეს სკოლა არსებობს და მრავალი
ქართველი ქალიც გამოზრდილა აქ.

რადაცას არა სანუგეშოს აგონებს,
ხოლო თვალს სიამოვნებით ული-
ტინებს.

მალე ქახჭახა მშენაც ამოაშუქა და
მოფანტა არემარეში ცეცხლის ის-
რები, თითქოს თანაც დასძახაო:
„აბა ხალხნო და ჯაშაათნო! დღეს
დიდებული სვეტის ცხოველის დღეო-
ბაა, ნუ მოგაკლოთ ღმერთმა მისი
ცხოველი მადლი, იმხიარულეთ,
იდღესასწაულეთ! გმართებთ დღე-
ვანდელ დღეს გულიდგან კავშინი
გადაიყაროთ, ადაესოთ გული და
სული ერთ-ერთის სიყვარულით,
განიმსკვალეთ მაღალის გრძობით,
ამ ცხოველი სვეტისადმი, დაჰმეთ
და განდევნეთ ყოველი ბოროტი
დაკრული გულიდგან, შედით დი-
დებულ ტაძარში სასოებით, რწმე-
ნით, იმედით! ჰხედავ, მეც რა მხი-
არულად გველებით თავს და უხვად
გაყრით სიბო-სინათლეს! ნუ მო-
გაკლოთ ღმერთმა ნურასოდეს
ნურც ერთი და ნურც მეორე.“

უყურეთ მართლა რა სასწაულებს
აღვარებს ცხოველი მზე მაღალს
გუმბათს დიდებულ სვეტის ცხო-
ველის ტაძრისას! რა სასიამოვნოთ
აღელვებს შენს გულს ეს დარბაისე-
ლი მტკვრის დუღუნი და მკვირ-
ცხლად მოჩუხჩუხე გიჟმაჟი არაგვი!
რა ძმურად, აღფრსით ეხვევიან და
ეხუტებიან ერთმანეთს ამ დიდებულ
ტაძრის შირში! თითქოს უნდოდეთ
მაგალითის ჩვენება, თუ როგორ
უნდა ძმობა ერთობაო. ორივე და-

პროკიმნაზია თითქმის საკუთარს
საშუალებით ინახება. ცოტაოდენ
შემწეობას, ისიც შარშანდელს აქვთ,
სკოლას უწევს სავაბრქო სამოსწა-
ვლო საბჭო. სხვა არსაიდან გროში
კაპეიკი არ ეძლევა ამ პროკიმნაზიას,
რომელიც სწავლა-განათლებას ავრ-
ცლებს ქართველთა უღარიბეს ნა-
წილში. ამ ჟამად პროკიმნაზიაში სწა-
ვლობს ასამდე ქალი და არის ექვსი
მასწავლებელი - ქალი. მოსწავლენი
არიან ქართლ-კახეთიდან, იმერეთი-
დან, გურიიდან და სვანეთიდანაც-
კი. სკოლას კერძო შემოწირულებ-
აც არსაიდანა აქვს. შარშან სკო-
ლამ დახმარება სთხოვა ტფ. თავად-
ანნაურობას, მაგრამ უარა მიიღო,
თუმცა წინად, ნინო ამილახვრის
იღუმენობის დროს, თავად-ანნაურ-
ობა ყოველთვის აძლევდა პროკიმ-
ნაზიას ორმოც-სამოც თუმანს. აი,
ეს სიმპატიური დაწესებულება მარ-
თავს სახალხო სეირნობას მცხეთა-
ში დღეს, გედევანიანთ ბაღში. ინი-
ციატორებს იმედი აქვთ, რომ ქა-
ლაქიდან ბევრი ჩავლენ და სეირ-
ნობას ეწვევიან. თადარიგს დიდი-
ხანია შეუდგნენ და, როგორც გად-
მოგვცეს, სეირნობა საინტერესო იქ-
ნება. თუ ვინმე გაიმეტებს და შეს-
წირავს რამეს სკოლას სეირნობისა-

წკრიალებულა. დაწმენდილა, ეტყო-
ბა ესენიც საღვთსასწაულოთ მო-
კაზმულ-მოძახლებულან, არც ერთს
არ სურს ამ წმინდა დღეს სიმღერი-
ვით ვისმეს გული აუშდვიროს.

დღეს ეს ძველი დიდებას ნაშთა,
ეს დიადი ტაძარი წარსულის კულო-
ტურისა მიიღებს ყველას ერთნაი-
რად თავის სქელ და ფართო კედ-
ლებ ქვიშ, აღუძრავს სასოებას
თვით ურწმუნობესაც კი დაალოცებს
ატარებს გულ-ჩვილ ქართველს.

გათავდა წირვაც. ხარებმა საღვ-
თსასწაულო გოგუნით აავსეს ციავი
შემოდგომის ჰაერი. ხალხი თავდა-
ვიწყებამდე ემზადება სამხიარულოთ.
ყოველ უწინარეს გაემართა ამოდე-
ნა ზღვა ხალხი, დიდი თუ პატარა.
კაცი თუ ქალი, ლიტანიით უვლიან
გარს ტაძარს ზოგი ფეხშველა, ზო-
გი წაჩოქლო და თან ვულო-ღვა-
ნეთ აღფრთოვანებულნი დასძახაან:
სვეტი ცხოველო, ცხოველო შენს
სალოცავად მოველოო! დიდება,
დიდება შენსა დიდებას!.. და სხვა..
ყველა გულ-ხუტვალეთ ვეგდრება,
მადლს ეხვეწება, ნუგეშსა სთხოვდა.
იგი მორწმუნეს ესაღმუნება კიდევ
გულს. ნეტარ არიან მორწმუნენი!..

ლიტანიის შემდგომ გაიმართა
ლანი, მხიარულება. ახალგაზდო-
ბამ ფერხული ჩააბა. კობტად ჩაი-
რქეს ჩოხის კალთები ქაშარში,
ღოშლულის დილები ჩამოიხსნეს,
უჩანთ წითელი მერდნის მოხდენი-
ლი პერანგის გულის პირი. ნება-

თვის, დიდ მადლობას მიიღებს სკო-
ლისა და ინიციატორებისადგან. აქვ-
დი აქვთ, რომ ესენი უფრო მშრ-
ვიმნაზიაში გამოზრდილან, თავიანთ
წვლილს არ დაიშურებენ. ადრესი:
მცხეთა, დედათა მონასტერი.

ქართული სკოლა. კუკიის
მცხოვრებთა ლაღაღმა გასქრა და,
როგორც გავიგეთ, ქალაქის სკო-
ლების კომისიას განუზრახავს კუ-
კიაში დააარსოს მეთავე ქართული
სკოლა.

ახალ წესტემით მოყვანილი
კარტოფილი. მივიღეთ შემდეგი წე-
რილი: „ბ-ნ ილია წინამძღვრიშვი-
ლის შიერ გამოცემულ პატარა წი-
გნაკით „დარიგება კარტოფილის მო-
ვლა-მოშენებისა ახალ წესით“ მი-
ვიღე 1909 წ. მეც ვისარგებლე ამ
წიგნაკით და ორი ორმო გავაკეთე-
ბინე იმ რიგად, როგორც დარიგე-
ბაში იყო მოხსენებული, საცდელად.
თუმცა დიდი ყურადღება არ მიმი-
ქცევია დათესილ კარტოფილის მო-
ვლისთვის, მაგრამ მაინცა და მაინც
თვითთულმა ორმომ შუათანად ორი
ჩანახი კარტოფილი მომცა, ესე, იგი,
ერთ ფუთამდის. ცხინვალში მცხო-
ვრები ან. ელიოზიშვილი“.

ხვალ 2 ოქტომბერს საღამო-
თი დანიშნულია საზოგადო კრება

ნება ამომძრავს კობტა საცვეთებში
გამოკანკლული ფეხები, თან-და-თან
უმეტებენ, თან დასძახაან ორპირუ-
ლათ:

დაბრუნდი ნუ დაბრუნდები,
დადგი პატარა ჯარა,
შენი გამდელი ვაცოცხლე,
შენი პატარა ლალა!

აგერ ფერხული გახურდა. რა
შკვირცხლად, ოსტატურად, მოხდე-
ნილად ათამაშებენ კობტა ფეხებს,
მთელს ტანს! უყურეთ, ერთმა
ახალგაზდამ ამ გახურებულს ტრია-
ლში როგორ შეათამაშა ფეხები
მადლა, გადატრიალდა სწრაფად
ჰაერში, ხელში არ გაუშო ამხანა-
გებს, ისე, ნიხრი არ შეშალა, მოა-
სწრო საერთო ტრიალს ისევ, ნე-
ტავი შენს დედასო, გაისმა ქალე-
ბში ახლგაზდასადმი მიძახილი, თან
დასძახაან გმირულს ხმით გამაძნე-
ვებელს სიმღერას, თითქო ქვე-ქუ-
ხილი ისმისო, გადასდით ვაჟკაცო
ოფლის ხვითქი,

აჰა, დაჰკრეს დათა ზურნაც. ხალ-
ხმა ახლა იქით შიაშურა. თოქშე-
მოცილილ ფართო ფარგულში მკვირ-
ცხლათ გადმოხტა ნახევრად ტიტვე-
ლი მხარ-ბეჭიანი მოქიდავე; პატა-
რა შეითამაშა და შეღვა, დაუწყო
ლოდინი მოპირდაპირეს; გული
ზღვასავით აღის და დადის. არ
დაახანა დიდხანს მეორე ლომმაც,
გამოარღვია ხალხის ზღვა, და გა-
დმოხტა ვეფხევივით მოყვანხედ, გა-
მოუთამაშა კობტად მეტოქეს. რა-

კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებას მიმდინარე საქმეთა გარდა განსახილველად წარედგინება მოხსენება საბჭოსი ზაფხულში საბჭოს მოქმედების შესახებ, მოხსენება, ივ. სპ. ჯაბაღარიას პურის კვალბრივ სისტემით მოყვანის შესახებ და სხვა.

→ დღეს 1 ოქტომბერს დღისით 12 საათზედ დანიშნულია სხდომა ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობის, რამდენიმე მიმდინარე წლის საქმეების განსახილველად.

→ ცნობილმა მწერალმა ბ.მა ივ. სუნდუკიანცმა დაამთავრა ახალი პიესა 5 მოქმედებიანი კომედია — „სიყვარული და თავისუფლება“.

→ კვირას, 4 ოქტომბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ქალაქის თავის მოადგილე ალ. ხატიასოვი წაიკითხავს ლექციას, რუსულ ენაზე, ერობის შესახებ.

→ 29 სექტ. 1 პოლიციის ნაწ. დაიქირეს ადმინისტრაციულ წესით გადასახლებული, და თავის ნებით დაბრუნებული ზაქარა ზანდუკელი ის თბილისში ცხოვრობდა, გორის მაზრის გიორგი ბუგიაშვილის პა-

მდენს ხერხს, ოსტატობას, უნარს იჩენს თვითნებური მათგანი, რომ მთელი ხელსაწყოებისა და თვითნებური მათგანი, რომ მთელი უკოლა შეუქნიათ კიდაობისა, კობტა, ქლა-ზათიანი ქადაობისა და არა დათვუარი, მოუხეზავი ძიძგილაობისა.

ახლა მეორე მხარეს ნახე, ახალგაზდა ქალებს რა დროს გატარება აქვთ. იქ დაირა „მუზიკა“ გაუჩაღებიათ; შუაში ჩამდგარა ერთი მარლიანი, ყაჩაღანა დედა-კაცი, თან ოხუნჯობს, ჰხოცავს ხალხს სიცილით, თან გამოჰყავს კობტა ქალები სათამაშოთ. კაი ქალი იქნება, გაბედავს და უარს ეტყვის, არ ითამაშებს! ახლა რა მაზანდას უკეთებს მოცეკვავე ქალს, როგორ აქებს და ადიდებს იმის ხელების გაშლას, ტანის რხევას, წყალივით დაეღვას; აწონებთ დასანიშნ ყმაწვილებს, რთმელნიც ბლომად მოგროვდნან და ირჩევენ საცოლეს. ეს არის იმათ გამოფენა, აქ არჩევენ თავიანთ საბედოს, იღბალს.

ჰაერში დატრიალდა მწვადის სუნნი, რომელმაც გაუღვიძა მადა მოლხინე მოთამაშეთ. მალე ყველგან გაიშალა გძელი ლურჯი სუფრა, დალაგდა გულ-წარმტაცი გემრიელი სანავაგე და შეიქმნა კამა-ღრეობა, ხუმრობა-ოხუნჯობა, ტკბილი ბასი, ცეკვა-თამაში, ერთმანეთში კერძების მიგზავნა-მოგზავნა. რამდენი მოკეთე, მოყვარე, ნათლია დაჰხვდათ ჰვენს ნაცნობებს აქ. ყველას უნდა

სპორტით. 28 სექტ. პოლიციამ შეიპყრო ფედოსოვის ქუჩაზე სახ., 25 სპირდონ აბულაძე, ამავე მიზეზით

→ 28 სექტემბერს საღამოს 7 საათზე უეცრად გარდაიცვალა კახეთის ქუჩაზე სიღნახის მოქალაქე გიორგი მონგოშვილი რომელიც მიდიოდა სოფ. აგ—შაგლაში თბ. მაზ. რომელსაც თან მიყვებოდნენ მუტივ ბეირაოვლი და იოსებ ნავარსარდიანი გვამი წაიღეს მიხეილოვის ბოლნიცაში.

→ ორშაბათს საერობო სათათბირო დაიწყებს მუშაობას.

→ ქალაქის გამგეობას ატყობინებენ რომ მიწისთვის სტეპენდია დაუნიშენია შემდეგ მოწაფეებს მ. მირიძანოვს, რ. აგატილოვს, გ. ლომინიანს მამედოვს, მეტურგილანც პატარაძეს, ფირალოვს, სარსიანს, ა. ტერმარტიროსიანს.

→ 30 სექტემბერს ს.ლ.დ.თის ბაზარში სამუშაოს საწოდებლად

გამოვიდნენ: იშოვნეს:	
ბუშა	214 — 86
დურგალი	8 — 6
კალატოზი	21 — 12
მომკირწყლავი	33 — 26
მხატვარი	21 — 18

ასიამოვნოს, ყველას გული მოიგოს. თითონ დაიკლებს და სხვას-კი არ დაივიწყებს. მაშ რის ქართველი იქნებოდა!

სადღეს უკან კიდევ თამაში, ლხინი, მხიარულება და ხშირად ღამის თევაც.

და ყველა ეს, მკითხველო, დიდხანს არ ავიწყდება საწყალ მაშვარალს მიწის მუშას, დიდხანს სიამოვნობს მის მოგონებით და ხელახლად ემეება მძიმე უღელში, აორკვებს შრომას, რომ წელიწადში ერთხელ, ორჯელ მასაც შეეძლოს ცოლშვილის სიამოვნება, გახარება, მძიმე ერთფერი ცხოვრების გასხვაფერება. ეს იმათი თეატრია, კლუბი, ბალი.

და ამისთანა ჩვეულება ზოგიერთს ვაჟბატონის აზრით სულ მეტი ხარჯია, მეტი ბარჯია, რადგან ეს ჩვეულება ხალხს ალატაკებს, აზარალებს. მაშ როგორ გინდათ, ბატონებო? მიწის მუშა განა მართლა ხარი ხომ არ არის, რომ თავი ზევით აღარ აიღოს, სულ მცირე ესტეტიკური გრძნობა არ დაიკმაყოფილოს, არა ბატონებო! ჯერ სხვა რამ უკეთესი მიეციოთ ხალხსა მაგიერი და მერე ისე წაართვიოთ ეს მისგან ძველად შექმნილი გასართობი. თორემ შესაძლოა სხვაც არა მისცეთ-რა და ესეც დაუკარგოთ. მაშინ? და მაშინ მხოლოდ მუშაობა, სულ მუშაობა და კვლავ მუშაობა!.. ეს ხომ მოსაწყენია!..

იერემია გულისაშვილი.

მეფესტე 12 — 8
მებუბრე 6 — 2
იატაკის გამწმენდი 6 — —

წერილი მეგობართან.

ძვირფასო მეგობარო ანტონ! თქვენი წერილი ეს-ეს არის სწორედ დღეს მივიღე და ვერ წარმოიდგენ, როგორი აღფრთოვანებით შევეგებე. გინდ ლიჯერე გინდ ნუ, შენა წერილი ოცჯერ გადავიკითხე. თვითნებური სტრიქონი გულში იმედს მისახავს და მარწმუნებს, რომ ხსნა მხოლოდ მომავალშია. შენ ცოტა არ იყოს მისაყვედურებ, რომ მე ხანდახან პესიმისტური წერილებით გეამბობები. ერთი მხრით, მეგობარო, საფუძვლიანიც არის თქვენი ჩემდამი საყვედური, მაგრამ მთლად ნურც მე გამამტყუნებთ. ისეთი სურათების მოწამე ვარ ხშირად აქ ქალაქში, რომ ყოველივე იმედებს ჩემში რაღაც უსიამოვნება ეტყობა. გუშინდელი ძმა-ამხანაგი დღეს ჯაშუშით გამხდარა. გუშინდელი მოძმე, რომელიც სიყვარულის დროშას ეტრფოდა, დღეს სიძულვილის დროშას აფრიალებს და მოლატობის როლს ასრულებს. ყველა ამავებს რომე უფიქრდები, გონება მეკარგება და მასთან გრძნობაც განიცდის რაღაც დიდ უხერხულობას. შენი წერილი დაწვრილებით ამიწერს მთელ გაქირებას სოფლისას, და მიხატავს იმ საშინელ სურათებს, რომელიც ალაშფოთებს ადამიანს. მაგრამ რას ვიქმთ, ძმაო, სანამ ხალხი არ დადწევს თავს დღევანდელ უმეცრებას, და სანამ კარგად არ შეიგნებს ყველა ამავების მიზეზს, იქამდინ კიდევ გასტანს თქვენ მიერ ნაჩვენები სურათები. ამიტომ ყველა ჩვენგანი ვალდებულია ამავების მიზეზი გააგებინოს ხალხს, რომ ამითა შემდეგ თვით ხალხმა შესძლოს მოსპობა თავისივე გაქირებულ მდგომარეობისა. დასასრულ ბევრი, ბევრი მინდოდა კიდევ მესაუბრა შენთან წერილობით მაინც, მაგრამ ეხლა დრო და გარემოება ხელს არ მიწყობს და ამიტომ ნუ გამიწყობები. ეცადე, მეგობარო, შენი მხრით, გლენებს იმედი მისცე და თან ეს პატარა ლექსიც დაუძღერო:

კი მართადა, მეფობს სიჩუმე,
გარშემო ვეფლავს ვეფლავ სიწყინარე,
მაგრამ, ჩაგრულად, გუფს ნუ გაიტებს,
„ის, შენ რომ იცი“ ჯერ ცოცხალად.
პრ. გუჯ.

ნუ თუ მართალია?

ერთს ქართულ გაზეთში ვკითხულობთ:
„ჩვენი ხალხი ხომ გუნებითაც

არ არის კანონიერებას ჩვეული. ქართველს არც უნებო მოქმედებები უყვარს, არც შრომა უნებოება“.

ავიხსნან, მაშ როგორ ვიცხოვრეთ ისტორიულად 23 საუკუნე ან როგორ შევინარჩუნეთ წმინდად, უცვლელად უმაღლესი ზნეობრივი ქრისტეს მოძღვრება 19 საუკუნის განმავლობაში.

„ვინმე ხუცავს“ შემდეგ შაქი. თხვას აქლავს მცხეთის საკათალიკოზო ეკლესიის კრებულს.

გთხოვთ უმორჩილესად შეგვაცუბონოთ.

1. „ანტიოქის“ ძველი ეკლესია თავისის მისავალ მიდამოთი გიწვრიათ თუ არა (კლიროვო) ეკლესიის საბუთებში, როგორც ძველი ნაშთი.

2. თუ არ გიწვრიათ, რა მიზეზია? ხომ იყო განკარგულება, რომ მაგვარი ნაშთები უნდა მიიღოს თავისს მფარველობასა ქვეშე მახლობელ შტატის ეკლესიის კრებულმა და უნდა მოუაროს, რომ არავინ დაისაკუთროს და არ დაანგრის?

3. რა საბუთით, ან ვისის ნებით გადაუქცევიათ ის ძველი ეკლესია საქათმეთ, ბოსლად, რომ შიგ ქათმეში, ძროხები და ღორები თურმე ბინადრობენ და მის, „ანტიოქის“ გარეშეში მიდამოზე კერძო პირები აშენებენ სახლებს?

4. თქვენ, როგორათაც ივერიის ეკლესიის სადგველო და საეკლესიო მოსამსახურეთა, ნუ თუ ესე ვითარ უბადრუკება არ გაუფოთებთ და ყურადღებას არ აქცევთ, ან რაში გამოიხატება მისადმი („ანტიოქისადმი“) ზრუნველობა?

გთხოვთ უმორჩილესად ამაზე პასუხი გვიბოძოთ. ამასაც მოვესწართ, რომ იმ ადგილს, სადაც გუშინ და გუშინ წინ სანთელს ვანთებდით და მუხლს ვიდრეკდით, ბოსლად ჰხდინან, საქათმედ და საღორედ, როგორც დაგვარწმუნა ბატ. გიგო გაბაშვილმა. ან ვინ მისცა იქ მოსულთ სახლის აშენების ნება, ან ვინ დაუმტკიცა ის მიდამო კერძო პირთ? უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებოდნენო, სწორედ ეს არის! „ანტიოქის“ ეკლესია უძველესი ნაშთია თვისის ციხე კოშკით და მიდამო ხაროებით მცხეთაში და მიკვირს ან ქართველი მცხეთელები როგორ შესცქერიან ამ უბედურებას?

რედაქტორ გამომცემელი
დავით ხრამლაშვილისა.

**გაიხსნა ღებანი
ხალხური ლექსები
და სიმღერები**

შეკრებილი ი. კარგარეთელის-მიერ.
იყიდება „ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს მოწაფეთ საშუალო სასწავლებლისათვის.
იზმაილოვის ქუჩა № 14.